N285 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №664 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №664 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 5/12/2014, 010220030.10.003.018284) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და დაგეგმვის კოორდინაციის მიზნით, განისაზღვროს ეკონომიკური საბჭოს (შემდგომში – საბჭო) შემადგენლობა:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი – საბჭოს წევრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – საბჭოს წევრი;

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი – საბჭოს წევრი;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში – ეკონომიკური საბჭოს მდივანი – საბჭოს წევრი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 5 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**